პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 26 სექტემბერი, 1942 წ. № 229 (6545). ფასი 15 კაპ.

ყველაფერში უსასტიკესი ეკონომია ომიანობის დროის კანონია!

მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა სამხედრო ყაიდაზე არის გარდაქმნილი. ფრონტის ინტერესებს ემსახურებიან ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, შახტები და მაღაროები, რკინიგზის ტრანსპორტი; გმირი წითელი არმიისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს უხვად ამზადებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მაგრამ კიდევ უფრო მეტია საჭირო ჰიტლერული ხროვის სრული მოსპობისათვის. საჭიროა ჩვენი მრეწველობა, მთელი სახალხო მეურნეობა კვლავ **ფართოვდებოდეს, იზრდებოდეს** იარაღისა და საომარი მასალების **დამზადება**, გამოვნახოთ **სტრატეგიული ნედლეულის** ახალი დამატებითი წყაროები.

ყოველივე ეს კი მოითხოვს **მომჭირნეობას, ეკონომიას** ნედლეულის, საწვავი მასალის, ელექტროენერგიის ხარჯვაში. იგი ამავე დროს მოითხოვს **სამუშაო დროის** ეკონომიას ნედლეულის მომჭირნეობასთან ერთად. ცოტა როდია ისეთი ფაბრიკა-ქარხნები, სადაც **შემცირდა** მუშა-ხელი, მაგრამ **გადიდდა** პროდუქციის გამოშვება. აქ საოცარი და საკვირველი არაფერია. საბჭოთა პატრიოტებმა, რომლებიც მთელი არსებით ისწრაფვიან რაც შეიძლება მალე მოისპოს საზიზღარი ფაშისტი მხეცი, ისე მოაწყეს მუშაობა, რომ ფართოდ დანერგეს მოწინავეთა გამოცდილება, განამტკიცეს შრომის დისციპლინა, მოახდინეს საწარმოო პროცესის უკეთესი მექანიზაცია...

...მარისია. **ყველგან** შეიძლება მოინახოს ეკონომიის **წყაროები.** ეს კი გააძლიერებს ჩვენი სამშობლოს თავდაცვას, დააჩქარებს ვერაგ მტერზე ჩვენს გამარჯვებას.

საწვავის მომჭირნეობით ხარჯვა — ეს არის ფრონტისათვის დახმარების გაწევა. და თუ აგარის მტს-ის მუშაკებმა 1942 წლის მარტო 6 თვეში 27.150 კილოგრამი საწვავი დაზოგეს, ქარელის მტს-მა — 7.940, რუისისამ — 5.740, ასეთივე წარმატებები აქვთ ხაშურის, გალის, ლაგოდეხის, ასურეთის, წალკის და სხვ. მტს-ებს, ადვილი გასაგებია, რა დიდი ეკონომია შეგვიძლია მივიღოთ, თუ ყველა ტრაქტორისტი იმუშავებს ისე, როგორც ვ. მაისურაძე, ა. ტიტვინიძე, ა. ეგნატაშვილი, კ. მოსიაშვილი მუშაობენ, რომლებმაც მოკლე ვადაში ასეულ კილოგრამობით საწვავის ეკონომია გასწიეს. თბილისის სამგზავრო ორთქლმავლების მემანქანეებმა ყუფიანმა და პაქსაშვილმა აგვისტოში 7.500 კილოგრამი საწვავი დაზოგეს, ხოლო ქუთაისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანემ ამხ. დუმბაძემ სექტემბრის ხუთდღიურში 1291 კილოგრამი საწვავის ეკონომია მოგვცა. ბევრი ასეთი ფაქტის მოყვანა შეიძლება. თბილისის ერთ-ერთ ქარხანაში გასულ კვარტალთან შედარებით 10 პროცენტით შეამცირეს ელექტროენერგიის ხარჯვა. ახლა, როცა მთელი ძალით გაჩაღდა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება დიდი...

[...]

...დროის კანონს წარმოადგენს.

იქ, სადაც ბოლშევიკურად იბრძვიან ეკონომიისათვის, ეძებენ მის წყაროებს, წარმატებასაც აღწევენ. თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში საფეიქრო საპონი ადგილობრივმა მუშაკებმა შესცვალეს კონტაქტით, რაც წლიურად 800 ათასი მანეთის ეკონომიას იძლევა. ამავე დროს, თუ საფეიქრო საპონი ფაბრიკას წლის განმავლობაში 140 ტონა სჭირდებოდა, მის ნაცვლად 100 ტონა კონტაქტიც საკ...

...სოციალისტური სამშობლო უზრუნველჰყო ისეთი სახალხო მეურნეობით, რომელსაც შეუძლია ჩვენი ქვეყნის ყველა და ყოველგვარი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. განუხრელად დავიცვათ ომიანობის დროის კანონი, გავწიოთ ყველგან და ყველაფერში უსასტიკესი ეკონომია, — ეს კიდევ უფრო გააძლიერებს სოციალისტურ სახალხო მეურნეობას და დააჩქარებს ვერაგ მტერზე ჩვენს გამარჯვებას.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით: კაპიტანი ვლასი ონისიმეს-ძე **ჭუმბურიძე.**

წითელი დროშის ორდენით: სერჟანტი შალვა პლატონის-ძე **კუპატა...**

...სი ლეიტენანტი შალვა ანთიმოზის-ძე **ასათიანი,** ლეიტენანტი გერონტი პლატონის-ძე **გობრიჩიძე,** უფროსი სერჟანტი ვარლამ კონსტანტინეს-ძე **გოგუაძე,** უფროსი სერჟანტი დიმიტრი ირაკლის-ძე **გოროყონიძე.**

მედლით „მამაცობისათვის“: უმცროსი სერჟანტი გაიოზ ილიას-ძე **კვინიკაძე,** წითელარმიელები ვლადიმერ ვალემონის-ძე **მაშოშვილი,** შალვა ბესარიონის-ძე **ჩაფიძე,** გიორგი ივანეს-ძე **გაბუნიძე,** ლეიტენანტი ადამ...

[...]

ბრძოლები მოზდოკის რაიონში

[...]

ა. მალხაზოვი
გ. ოქროპირიძე

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

25 სექტემბრის დილის ცნობა

24 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან **სტალინგრადის** რაიონში, **მოზდოკის** რაიონში და **სინიავინოს** რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

სტალინგრადის რაიონში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. Ნ ნაწილმა ქუჩაში ბრძოლის დროს 200-ზე მეტი ჰიტლერელი გასწყვიტა და გერმანელთა 5 ტანკი, 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და 4 ნაღმსატყორცნი მოსპო. გერმანელებმა შესძლეს ზოგიერთ სახლში შესულიყვნენ და საფრთხე შექმნათ ჩვენი ნაწილის ფლანგისათვის. საბჭოთა მებრძოლები კონტრიერიშზე გადავიდნენ და მდგომარეობა აღადგინეს. სხვა უბანზე ჩვენმა ნაღმმტყორცნელებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 12 ავტომანქანა ჯარებიანად და საომარ მა...

...რის განმავლობაში პარტიზანულმა რაზმებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მოწინააღმდეგის 5 რკინიგზის ეშელონი სამხედრო ტვირთიანად და ჯარებიანად.

• • •

იტალიის მე-2 ალპური დივიზიის „ტრიდენტინის“ მე-6 პოლკის სამმართველო ასეულის ტყვე რადისტმა ჯუზეპე ბოზეტიმ განაცხადა: „მე სულ რამდენიმე დღე ვიომე. ბრძოლაში ჩვენი ბატალიონი გაანადგურეს. ასეთივე ბედი ეწია, ალბათ, პოლკის დანარჩენ ბატალიონებსაც. ტანკები, რომლებიც ჩვენ დაგვეხმარეს, მწყობრიდან იქნა გამოყვანილი ბრძოლის დასაწყისშივე. როცა პოლკი შეტევაზე გადავიდა, ჩვენთაგანს არავის არა სჯეროდა, რომ ბრძოლა წარმატებით დამთავრდებოდა. მართლაც, რუსებმა მალე გადაგვთელეს...

[...]

...განმავლობაში ჩვენმა სნაიპერებმა მოწინააღმდეგის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს.

• • •

ბრიანსკ-გომელის რკინიგზის უბანზე 3 კვი...

...რაიონებიდანაც იუწყებიან, ამ დღეებში მიღებულ იქნა ცნობები, რომ ბანაკებიდან გაქცეულ ფრანგ ტყვეთა დიდი რაზმი იუგოსლავიაში გადავიდა და პარტიზანებს შეუერთდა.

25 სექტემბრის საღამოს ცნობა

25 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში, **მოზდოკის** რაიონში და **სინიავინოს** რაიონში. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

24 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს მოწინააღმდეგის 45-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს საველე არტილერიის 6 ბატარეის, 6 ნაღმსატყორცნი ბატარეისა და 17 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტის ცეცხლი, ააფეთქეს 2 საწყობი საომარი მასალა, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მტრის ხუთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

...4 დღის ბრძოლებში გერმანელთა 1 ბატალიონი ქვეითი ჯარი გაჟლიტეს და 12 ტანკი, 4 ჯავშნიანი მანქანა, 6 ავტომანქანა, 7 ტყვიამფრქვევი და სხვა საჭურველი მოსპეს. სხვა უბანზე ჩვენი მეავტომატეების ჯგუფმა 60 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტა. გვარდიის წითელარმიელი ამხ. ზოტინი გერმანელთა ტანკთან მიხოხდა, ღია სარკმელში გრანატების კონა შეაგდო და ააფეთქა მანქანა მის ეკიპაჟიანად.

• • •

ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 3 დღის ბრძოლებში ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს მტრის 2.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის ორი პოლკოვნიკი. წამოღებულია გერმანელთა 10 დაზგის ტყვიამფრქვევი, 12 ნაღმსატყორცნი, 1.000-ზე მე...

[...]

ვორონეჟის რაიონში

[...]

ა. კრივიცკი

მაღაროელებმა შეასრულეს სექტემბრის ორი დეკადის გეგმები

[...]

ა. ვიოკაძე

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

ზურგში თავდადებული შრომით ვჭედოთ ვერაგ მტერზე გამარჯვება!

გორელი კოლმეურნეები ჩაებნენ სოცშეჯიბრებაში

გორი („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ალტაელ კოლმეურნეთა, ტრაქტორისტთა და კომბაინერთა მოწოდებას წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და დამატებით ვალდებულებათა აღების შესახებ. კოლმეურნეები და კოლმეურნეობები, ბრიგადები და რგოლები ერთსულოვნად ებმებიან სოცშეჯიბრებაში და იღებენ ახალ ვალდებულებებს. სოფ. დიდი ბერშუეთის მეორე ხუთწლედის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს: საშემოდგომო კულტურები ვადაზე ადრე გეგმის გადამეტებით...

...სათვის ამთავითვე მოამზადონ ... ბი და თბილი ბინები.

წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და დამატებითი ვალდებულებები აიღეს აგრეთვე ხიდისთავის, ოძისის, შავშვების, ერგნეთის, კარალეთის და სხვა კოლმეურნეობებმა.

შეჯიბრება ფართოდ ჩაღდება სატრაქტორო ბრიგადებს შორისაც. ახალსოფლის მტს-ის მერვე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელმაც წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა, თავისი ბრიგადის სახელით იკისრა 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით...

[...]

დიდი თარიღის აღსანიშნავად

სიღნაღი („კომუნისტის“ კორ.). სამამულო ომის ვითარებაში საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა სოფელ ტიბაანის ოქტომბრის რევოლუციის XIII წლისთავის სახელობის კოლმეურნეობამ. ამ კოლმეურნეობამ წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი სამხედრო მოსავალი მიიღო. მოკლე ვადაში 560 ჰექტარზე აიღეს ქერისა და ხორბლის მოსავალი. კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე ჩააბარა სახელმწიფოს 37 ტონა პირველი განაღლეწი საუკეთესო ხარისხის ქერი და ხორბალი, წითელი არმიის პურის ფონდში კი — 7,5 ტონა ხორბალი. გარდა ამისა, სახელმწიფოს ჩააბარა 37 ტონა თივა, 10,5 ტონა ცხვრის ხორცი, 8.940 ლიტრი რძე, 350 კილოგრამი ბრინზა ყველი, 1.950 კილოგრამი მატყლი და სხვ.

კოლმეურნეობა წარმატებით ემზადება ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავის აღსანიშნავად. კოლმეურნეები აქტიურად გამოეხმაურნენ ალტაის მხარის ...ტორისტთა, კომბაინერთა მიმართვას და ჩაებნენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და ახალი ვალდებულებანი აიღეს.

სოფ. ტიბაანის ოქტომბრის რევოლუციის XIII წლისთავის სახელობის კოლმეურნეობამ იკისრა საშემოდგომოდ დასთესოს 480 ჰექტარი, საკუთარი ცოცხალი გამწევი ძალით გეგმით გათვალისწინებული 60 ჰექტარის ნაცვლად მოხნას 80 ჰექტარი, გეგმის გადამეტებით დასთესოს თავდაცვის ფონდისათვის 5 ჰექტარი ხორბალი. თამბაქოს შეტეხა 42 ჰექტარზე მთლიანად დაამთავროს ვადაზე ადრე, სახელმწიფოს გეგმის ზევით ჩააბაროს 1,5 ტონა თამბაქო, პირველ ოქტომბრამდე დაამთავროს საქონლისათვის საზამთრო ბინების მშენებლობა, ამავე რიცხვისათვის ბინებთან მიზიდოს უხეში და კონცენტრირებული საკვები, ყველა სახელმწიფო ვალდებულება შეასრულოს 1 ნოემბრისათვის და გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 3 ტონა ხორცი.

[...]

მერხეული კოლმეურნეთა დამატებითი ვალდებულებები

[...]

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეები

[...]

ბრძოლები სტალინგრადის რაიონში

[...]

მშობლიური კავკასიისათვის

ჯავშანსაწინააღმდეგოს საბრძოლო ნათლობა

მოქმედი არმია, 23 სექტემბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან).

ახალგაზრდა წითელარმიელი ჰაკიმ ჰამგოკოვი მოუთმენლად ელოდა ფრონტზე გამგზავრების დღეს. მშობლიურ სოფელ ზიბარიურტიდან იგი შემდეგი დარიგებით გააცილეს:

— ჰაკიმ, გმირად დაგვიბრუნდი!

ოღონდ გერმანელები დაინახოს, ოღონდ მტერს შეხვდეს ბრძოლის ველზე! ჰაკიმ ჰამგოკოვი დაანახვებს, თუ როგორ უნდა ლაპარაკი ამ მხეცებთან. აქ მისი თანამოიარაღენი იყვნენ რუსებიც, უკრაინელებიც, ქართველებიც, სომხებიც—ისინი ამშვიდებდნენ ფიცხ ჩაჩანს:

— ნუ ჩქარობ, ჰაკიმ, ჩვენი ჯერიც მოვა. გვიბრძანებენ—გავალთ ბრძოლაში.

ბრძანებაც მალე მოვიდა. პოლკმა, რომელშიც ჰაკიმ ჰამგოკოვი მსახურობდა, თავდაცვა დაიკავა მთის ქედის ჩრდილო კალთაზე. მებრძოლები ორ კვირას თხრიდნენ სანგრებს, აგებდნენ მიწურ საცეცხლე წერტებს, დგამდნენ იქ ტყვიამფრქვევებსა და ზარბაზნებს. ტანკსაწინააღმდეგო თოფის გუნდის მეორე ნომერი ჰაკიმ ჰამგოკოვი სხვაზე ნაკლებ როდი ცდილობდა, მაგრამ მას სულ ეგონა, რომ ეს სამზადისი ზედმეტი იყო. რატომ არ უნდა შევეგებოთ გერმანელებს, არ უნდა დავატეხოთ თავს მთელი იარაღის ცეცხლი? ვერ გაგვიძლებენ!

მემიზნე დანილოვი თავის თანაშემწეს ეუბნებოდა:

— ძმობილო, ასე როდი ომობენ. აბა, წინ გაიხედე, აი იქ გზაა, გზის მარჯვნივ გორაკია, მარცხნივ ხევი. როგორ გგონია, სად გამოივლიან ტანკები? რასაკვირველია, გზაზე. ჩვენ სწორედ იქ შევეგებებით მათ.

...ტანკები დილაადრიან წამოვიდნენ. ჰამგოკოემა გზის თავზე დაინახა სქელი მტვრის კორიანტელი, დაინახა, რომ 700 მეტრზე ტანკები შეჩერდნენ და სროლა აუტეხეს ჩვენს პოზიციებს. ტანკები ბლომად იყო და თითოეული მათგანი ზედიზედ გზავნიდა ყუმბარას მთისაკენ. მთის გადაღმიდან მტერს დასცხო საბჭოთა არტილერიამ. მტვერმა და კვამლმა დაჰფარა მთელი მინდორი, მტვერმა დაჰფარა მთის კალთა, რომელზედაც დანილოვისა და ჰამგოკოვის სანგარი იყო. გარშემო ყუმბარები სკდებოდა ზუზუნ-გრიალით. ჯავშანმტვრეველები ერთმანეთს მიჰკროდნენ და ისე ისხდნენ სანგრის კედელთან. დანილოვმა თავი ასწია ერთი წუთით, რათა დაენახა რა ხდებოდა გზაზე და წამსვე პირქვე დაეცა.

— მიშა! მიშა!—აწკრიალდა ჰაკიმი თავის მეგობარს,—ამხანაგო სერჟანტო დანილოვ! მიშა!...

მემიზნე მკვდარი იყო. ჰაკიმს თავი დაავიწყდა; გვერდზე მისწია მეგობრის სხეული, თავისი მაზარა გადააფარა და თოფთან დადგა. დაიწყო დამიზნება, მაგრამ ტანკები ძალიან შორს იყო. ჰაკიმი სულმთლად კანკალებდა მოუთმენლობით. იგი ყურადღებას აღარ აქცევდა მტრის ყუმბარების გასკდომას. და აი, დაინახა, რომ რამდენიმე ტანკი კოლონას გამოეყო და წინ წამოვიდა.

ჰაკიმ, აბა შენ იცი! ახლა ისინი ახლო მოვლენ. ჰამგოკოემა მიზანში ამოიღო მეწინავე ტანკი. მებრძოლს ნაცადი მსროლელის სიმშვიდე და სიდინჯე დაუბრუნდა. მას მოაგონდა მეთაურთა დარიგება. სარკმელს, ტყვიამფრქვევის ბუდეს, სასვლელ ნაწილს უნდა დაუმიზნოო. ზუსტად დაუმიზნა და სამჯერ ზედიზედ ესროლა, მეწინავე ტანკმა უეცრად გადაუხვია გზას, როგორღაც გვერდ-გვერდ აცოცდა ციცაბო გორაკზე და გადაყირავდა...

ჰამგოკოვთან პოლიტხელი მიხოხდა.

— ყოჩაღ, ამხანაგებო!—იძახდა იგი. დაინახა, რომ თოფთან მარტო ჰამგოკოვი იდგა, პოლიტხელმა მაშინვე იკითხა,—დანილოვი რა იქნა? ნუთუ მოკლულია?

შემდეგ პოლიტხელი და მებრძოლი რიგ-რიგად ესროდნენ, ადგილს უცვლიდნენ ერთმანეთს. როცა ვაზნები აღარ ეყოთ, ჰამგოკოვი, მიუხედავად იმისა, რომ მტრის ყუმბარები სკდებოდა, საწყობთან მიხოხდა და ორი ყუთი მოიტანა იქიდან.

ეს დღე ახალგაზრდა ჯავშანმტვრეველ ჰაკიმ ჰამგოკოვის საბრძოლო ნათლობის დღე იყო.

ამჟამად ჰამგოკოვი მემიზნე სერჟანტია. ახლა იგი აღარ ფიცხობს. მშვიდი და დინჯი მეომარი გახდა და მძაფრი სიძულვილი მტრისადმი სულ უფრო და უფრო ძლიერ ღვივის ახალგაზრდა გულში.

ა. მალიბაშევი

ტანკი „ალექსანდრე ნეველი" ბრძოლაში

მოქმედი არმია, 24 სექტემბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). მეთაურის მანქანის მასიურ ბორტს ამშვენებს წარწერა: „ალექსანდრე ნეველი". ეს მძიმე მანქანა უფროს ლეიტენანტ პეტროვს დაჰყავს ბრძოლაში.

როდესაც გერმანელთა ტანკების დიდმა ჯგუფმა ერთი დასახლებული პუნქტისაკენ მიმავალ გზაზე მოიყარა თავი, გადაწყდა ტანკების რაზმი გაეგზავნათ წინ. „ალექსანდრე ნეველი" გაუძღვა ამ რაზმს. მთელი ღამის განმავლობაში საბჭოთა ოთხი მძიმე ტანკი, ორი საშუალო და ორი მსუბუქი მორიგეობდა ბუჩქებში გზის პირას. დილა ადრიანად, როცა ველს ჯერ კიდევ ხშირი ნისლი დასწოლოდა, ჩრდილოეთის მხრივ გზაზე მტრის სატანკო კოლონა დაიძრა. ნისლში არ შეიძლებოდა გარკვევა, თუ რამდენი მანქანა იყო კოლონაში. პეტროვი განსაკუთრებით არც კი დაჰკვირვებია — რამდენიც უნდა ყოფილიყო, მტრის ტანკები უნდა შეეჩერებინათ, რადაც უნდა დასჯდომოდათ.

საბჭოთა ტანკისტებმა 500-600 მეტრზე მოუშვეს გერმანელთა მანქანები და სროლა აუტეხეს. მოწინააღმდეგემ უპასუხა. მტერი ძლიერ უშენდა, მაგრამ დაუმიზნებლად. ნისლში გერმანელებმა არ შეეძლოთ საბჭოთა ტანკების დანახვა, ხოლო როცა ნისლმა გაფანტვა იწყო, პეტროვმა სწრაფად გადაიყვანა თავისი მანქანები სხვა ადგილას. იქიდან ტანკისტებმა კვლავ დასცხეს მტერს. ხელახლა დაიწყო საარტილერიო დუელი. ნისლში, მტვერსა და კვამლში პეტროვმა გაარჩია მტრის ათამდე დაზიანებული მანქანა.

ფაშისტთა 50-მდე ტანკი მზესუმზირაში იდგა გზის გადაღმა. გერმანელებმა პეტროვის ჯგუფი რომ დაინახეს, ყველა თავიანთი ზარბაზანი დაუშინეს მას. 50 ჭვემეხი ერთ მიზანს ურტყამდა! პეტროვმა საკომანდო პუნქტში გაგზავნა ცნობა, რომელშიც ასწერა ვითარება და დასასრულ აღნიშნა: „ყურადღებას ჩემკენ ვიპყრობ, ბრძოლით მივდივარ მაღლობისაკენ". „ალექსანდრე ნეველი" და მისი თანამგზავრნი გზის მარცხენა მხარეს წავიდნენ. იქით კი არ წავიდნენ, სადაც ჩვენი მსროლელნი იყვნენ, არამედ იქით, სადაც მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი უნდა ყოფილიყო, იმ ადგილისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ სროლით გამიზნეს ჩვენმა ნაღმმტყორცნელებმა. მაგრამ გერმანელებმა, რომელნიც შეუწყვეტლივ ესროდნენ მიმავალ ტანკებს, გზაზე იწყეს გამოსვლა. მაშინ პეტროვმა თავისი ჯგუფი მტრის კოლონის გზის გადასაღობავად დასძრა. ამან თავზარი დასცა მტერს. კოლონა შეჩერდა. აქ მას შორეული მაღლობებიდან ჩვენმა არტილერიამ დაუშინა. გერმანელთა მანქანებმა თავის მხრივ გააფთრებული სროლა აუტეხეს პეტროვის ტანკების ჯგუფს.

„ალექსანდრე ნეველმა" უკვე გადასჭრა გზა და თავისი მხლებელი მანქანები მაღლობისაკენ გამოჰყავდა, რომლის ქედს გადაღმაც ჩვენი ბატარიები იდგა. ამ დროს ტანკის სარკმელს ყუმბარა მოხვდა. გავარვარებული ლითონი პირდაპირ პეტროვს გადაესხა. ალი მოედო ქუდს, ცეცხლი წაეკიდა თმას. მსროლელმა რადისტმა პოლიგალინმა თავისი კურტაკით ჩააქრო ალი. დაიჭრნენ არტილერისტი გლაზუნოვი, უმცროსი მექანიკოსი სოკოლოვი. გერმანელებმა მოახერხეს ორი საბჭოთა ტანკის დაზიანება. პეტროვის ბრძანებით ისინი სხვა მანქანებმა აიყვანეს ბუქსირზე და ტანკისტებმა განაგრძეს მაღლობისაკენ სვლა. საბჭოთა ტანკები თითქმის ოთხ კილომეტრ მანძილზე მიდიოდნენ ხშირი ცეცხლის საფარში, სანამ ქედზე არ ავიდნენ. აქ ქედს გადაღმა მათ ელოდნენ საწევარი ტრაქტორები და სანიტარული მანქანები.

გერმანელთა ტანკები საბჭოთა ტანკებზე ათჯერ მეტი იყო, მაგრამ გზა მათთვის დახშული აღმოჩნდა. იმათ ვერ გამოიარეს. „ალექსანდრე ნეველი" და მისი ძმობილები პირნათლად გამოვიდნენ ბრძოლიდან.

ა. მალიბაშევი

ყველაფერში გავსწიოთ ეკონომია. მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსები

რა შედეგი მოგვცა საფეიქრო საპნის შეცვლამ

სამამულო ომის დაწყებამდე ჩვენი ფაბრიკის სამღებრო-საპრეტურო საამქრო დიდი რაოდენობით იყენებდა საფეიქრო საპონს, რომელიც აბრეშუმის ხამი ძაფის გამოხარშვისათვის იხმარება. საფეიქრო საპონი ადგილობრივ მზადდებოდა, მაგრამ მის ძირითად შემადგენელ ნივთიერებას, — ოლეინის სიმჟავეს, ფაბრიკა საბჭოთა კავშირის შორეულ ქალაქიდან იღებდა.

გასული წლის 3 ივლისს, დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვის საპასუხოდ ჩვენი საამქროს ქიმიკოსთა კოლექტივმა გადასწყვიტა ადგილობრივ გამოენახა ისეთი ქიმიური ნივთიერება, რომელიც მთლიანად შესცვლიდა საფეიქრო საპონს. რამდენიმე ნივთიერების გამოცდის შემდეგ მე ყურადღება შევაჩერე ნავთის წარმოებაში ნარჩენ ნივთიერებაზე, რომელსაც კონტაქტი ეწოდება. ქიმიური ლაბორატორიის გამგე ნუნუ ბერძენიშვილის, ჩვენი ყოფილი თანამშრომლის, სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიტიკური ქიმიის კათედრის ასისტენტ კლარა გამსახურდიას, ქიმიკოსების ახობაძისა და ჩხაძის ენერგიული დახმარებით, ნავთის კონტაქტი, რომელიც მეტად მჟავე რეაქციის ნივთიერებაა, გავანეიტრალეთ ტუტე ნივთიერებით. ცდამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. ტუტე ნივთიერებით — კაუსტიკის სოდით, ან კალციუმით განეიტრალებული ნავთის კონტაქტი საუცხოო ხარისხის გამომხარშავი ნივთიერებაა, ამავე დროს ის მეტად იაფი ჯდება. წლის განმავლობაში საფეიქრო საპონი გვჭირდება 140 ტონა, კონტაქტი კი 100 ტონაც საკმარისია. თუ ერთი ტონა საფეიქრო საპონი 7.000 მანეთი ჯდება, ერთი ტონა კონტაქტი ჯდება 800 მანეთად. ფაბრიკაში ამ წინადადების გატარებამ წინასწარ გამოანგარიშებით 800.000 მან. წლიური ეკონომია მოგვცა.

ჩვენ ამ წარმატებით არ დავკმაყოფილდით და ახალი ქიმიური ცდების საშუალებით გამოვარკვიეთ, რომ ნავთის წარმოების მეორე ნარჩენი — „მილონავთიც" შეიძლება გამოვიყენოთ საფეიქრო საპნის ნაცვლად. ამავე დროს, მას კონტაქტის მსგავსად არა სჭირდება განეიტრალება, რადგან თითონ ტუტე რეაქციის ნივთიერებაა. ამჟამად ჩვენს საამქროში ეს ორი ნივთიერება იხმარება საფეიქრო საპნის ნაცვლად.

გარდა ამისა, ჩემი რაციონალიზატორული წინადადებით მეტად ძვირფასი ძმრის სიმჟავე, რომელიც სხვადასხვა ქალაქებიდან მოგვდიოდა, შევცვალე იაფფასიანი გოგირდის სიმჟავით. ამ წინადადების რეალიზაციამ ფაბრიკას 254.000 მანეთის ეკონომია მისცა.

ჩვენ ვცდილობთ რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსები, მივიღოთ მეტი ეკონომია, რათა ამით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ზურგი, მხარდი დახმარება გავუწიოთ ფრონტს.

ვ. ჩიქოვანი

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ქიმიკოსი, სამღებრო-საპრეტურო საამქროს უფროსი.

მაქსიმალურად გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსები

ამ ქარხნის კოლექტივი, რომლის დირექტორია ამხ. პ. კანკავა, ფართოდ იყენებს ადგილობრივ რესურსებს და რაციონალიზატორული წინადადებების განხორციელებით მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს. აქ სამხედრო პროდუქციის ზოგიერთი ნაწილის დასამზადებლად გამოყენებულ იქნა ფურცლოვანი რკინის ნარჩენები, რამაც ქარხანას წელიწადში 8 ტონა ფურცლოვანი რკინის ეკონომია მისცა.

ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის ამხ. პატარქალაშვილის წინადადებით, ხეხვის ოპერაცია შეცვლილ იქნა გაგლინვით. ამან ქარხანას მისცა დეფიციტური ზუმფარას ქვის დიდი დანაზოგი და 11.000 მანეთის ეკონომია; საამქროს უფროსის ამხ. ოდაბაშევის წინადადებით საამქროში შეცვლილ იქნა ხელით გაქლიბვის ოპერაცია სადარავ ჩარხზე დამუშავებით, რამაც ქარხანას შეუნარჩუნა დეფიციტური ქლიბების დიდი რაოდენობა და, გარდა ამისა, მისცა 2.000 მანეთის ეკონომია.

სარემონტო საქმის ორგანიზაციაში ახალი სასწრაფო მეთოდის შემოღებით 80 პროცენტით შემცირდა ერთ-ერთი ტიპის სახარატო დაზგის გაცდენა.

ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად მესამე კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით ქარხანაში 10 პროცენტით შევამცირეთ ელექტროენერგია.

ზევით ჩამოთვლილ რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებამ ქარხანას დიდად შეუწყო ხელი წარმატებით შეესრულებინა აგვისტოს თვისა და სექტემბრის ორი დეკადის საწარმოო დავალება.

ქარხნის სპეციალისტებისა და ოსტატებისაგან შემოდის მრავალი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა განხორციელებაც დიდად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და მოგვცემს მნიშვნელოვან დანაზოგს როგორც მასალების, ისე ფულის მხრივ.

ქარხნის მთელი კოლექტივი, რომელიც ჩაბმულია წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში, ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ ადგილობრივი სახსრების მაქსიმალურად გამოყენებით ჩვენი ქვეყნისა და ფრონტისათვის გამოუშვას რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ა. გიორგობიანი

ქარხნის საწარმოო-საგეგმო განყოფილების უფროსი.

მომჭირნეობით ვხარჯოთ საწვავი მასალა მტს-ებში

სამამულო ომის დღეებში ბევრი მტს-ი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ ხვნის, თესვის, მოსავლის აღების და სხვა სამუშაოთა დროულად და წარმატებით შესრულებასთან ერთად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საწვავი მასალის ეკონომიურად ხარჯვას, თითოეული კილოგრამი საწვავის დაზოგვას. მაგალითად, აგარის მტს-ის მუშაკებმა 1942 წლის მხოლოდ 6 თვეში 27.150 კილოგრამი საწვავი დაზოგეს, ქარელის მტს-ის მუშაკებმა — 7.940, რუისის — 5.740, ხაშურის — 5.600, გალის — 6.400, ლაგოდეხის — 6.840, ასურეთის — 3.460, წალკის — 3.440, ტამიშის — 2.850, წულუკიძის — 2.420, ვანის — 2.570, ლუქსემბურგის — 2.000, ბაშკიჩეთის — 1.700, თელავის — 2.100, შირაქის — 1.200, ქობულეთის — 1.850 კილოგრამი და სხვ.

საქართველოს მტს-ებში მთელმა რიგმა მუშაკებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი საწვავი მასალის მომჭირნეობით ხარჯვაში. ქარელის მტს-ის ტრაქტორისტმა ვ. მაისურაძემ წელს 6 თვეში 1.250 კილოგრამი საწვავი მასალა დაზოგა, აგარის მტს-ის ტრაქტორისტმა ალ. ტიტვინიძემ — 816, რუისის მტს-ის ტრაქტორისტმა ალ. ენუქაშვილმა — 528, ხაშურის მტს-ის ტრაქტორისტმა დ. გელაშვილმა — 272 კილოგრამი და სხვ.

რუისის მტს-ში მხოლოდ ა. ნანეტაშვილის ბრიგადამ წელს 6 თვეში დაზოგა 1.480 კილოგრამი საწვავი, აგარის მტს-ში შ. მაისურაძის ბრიგადამ — 4.064 კილოგრამი, ხაშურის მტს-ში კ. მოსიაშვილის ბრიგადამ — 2.380 კილოგრამი.

საწვავ-საცხები მასალების მომჭირნეობით ხარჯვა საქართველოს მტს-ების მუშაკთა ერთ-ერთი სერიოზული ამოცანაა.

იძლევიან სათბობის დიდ ეკონომიას

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის საორთქლმავლო დეპოებში დღითი-დღე ფართოვდება ბრძოლა სათბობის ეკონომიისათვის. ათობით მემანქანე, რომელნიც წინათ ნორმაზე მეტ სათბობს სწვავდნენ, ახლა მრავალ ათას კილოგრამ საწვავს ზოგავს.

კარგ შედეგებს მიაღწიეს ქუთაისის, ბორჯომის, ხაშურის, ბათუმის და სხვ. საორთქლმავლო დეპოების მემანქანეებმა. მემანქანე ამხ. დუმბაძემ (ქუთაისი) უკანასკნელ ხუთდღიურში დაზოგა 1.251 კილოგრამი საწვავი. 1.500-ზე მეტი კილოგრამი საწვავი დაზოგეს აგვისტოში სამგზავრო ორთქლმავლის წარჩინებულმა მემანქანეებმა ამხ. ყიფიანმა და პაჭაშვილმა (თბილისი). უკანასკნელი ხუთდღიურის განმავლობაში მათ დაზოგეს 2.432 კილოგრამი საწვავი.

კარგ ნიმუშებს იძლევიან სათბობის ეკონომიის საქმეში მემანქანეები ამხ. ვიტუხინი, ვეშჩერენკო, წიქორიშვილი (თბილისი), ლომსაძე (ხაშური), ოდილავაძე (სამტრედია) და მრავალი სხვა.

აგვისტოს განმავლობაში გზაზე დაზოგილ იქნა 4 პროცენტი საწვავი. (საქინფორმი).

ა. ს. იმედაშვილი



გარდაიცვალა ა. იმედაშვილი

25 სექტემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული თეატრის დიდი მოღვაწე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ორდენოსანი მსახიობი და რეჟისორი ალექსანდრე იმედაშვილი.

დამკრძალავი კომისია

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გამოყოფილია რესპუბლიკის სახალხო არტისტის ალექსანდრე იმედაშვილის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ბ. გოგუა (თავმჯდომარე), შ. დადიანი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჩხეიძე, ა. ვასაძე, დ. ანთაძე, მ. ჭიაურელი, ნ. გოცირიძე, ი. ალიხანიანი, ვ. ნინიძე, ვ. გვინჩიძე.

ა. იმედაშვილის დაკრძალვის ხარჯებს მთავრობის დადგენილებით გაიღებს სახელმწიფო.

ალექსანდრე იმედაშვილი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ორდენოსანი ალექსანდრე იმედაშვილი. იგი იყო ქართული საბჭოთა სცენის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი, რეჟისორი, აქტიორული ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენელი და მშობლიური თეატრის ვეტერანი. გუშინ, დილის 4 საათზე, შესწყდა ალექსანდრე იმედაშვილის მაჯისცემა.

იმედაშვილმა განვლო დიდი აქტიორის მრავალმხრივი გზა. სახელოვანი ლადო მესხიშვილის სკოლიდან იგი გამოვიდა შთაგონებულ რეალისტად, ხელოვნებაში მან ხალხის უანგარო მსახურის გზა აირჩია და ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში მშობლიურ სცენას არ მოშორებია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იგი ისევე, როგორც მისი სცენის ამხანაგები, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, დაუღალავად, მგზნებარედ ემსახურებოდა ქართულ თეატრს. საბჭოთა სცენაზე კი იმედაშვილის ნიჭი, შესაძლებლობა და გაქანება ყოველმხრივ გაიფურჩქნა. იმედაშვილს მხურვალედ უყვარდა საბჭოთა თეატრი. ამ სიყვარულით არის გამთბარი მის მიერ გამოკვეთილი დაუვიწყარი სახეები, რომლებიც წარუშლელად დარჩება ქართულ სცენაზე შექმნილ მონუმენტურ სახეთა გალერიაში.

ალექსანდრე სოლომონის-ძე იმედაშვილი დაიბადა თბილისში 1882 წელს, ხელოსნის ოჯახში. ჭაბუკობის წლებიდანვე დაიწაფა იგი თეატრს, 1900 წელს შევიდა თბილისის დასში და აქედან მოყოლებული დაუღალავად მუშაობდა ქართულ სცენაზე. საქართველოში არ არის კუთხე, სადაც იმედაშვილს სცენაზე არ ეთამაშოს. მან შექმნა მეფე ლირის, ოტელოს, ოიდიპოს მეფის, მაკბეტის, კარლ მოორის დიდი აქტიორული ტალანტით შთაგონებული სახეები. იმედაშვილის ოტელო და მეფე ლირი სამუდამოდ დარჩება ქართული თეატრის ისტორიაში როგორც აქტიორული ხელოვნების შესანიშნავი მიღწევა. იგი იყო შექსპირის ტრაგედიების არა მარტო კარგი შემსრულებელი, არამედ მათი კარგი მცოდნეც. იმედაშვილი რამდენიმე პიესის ავტორი და მთარგმნელია. უკანასკნელ წლებში მან დასწერა ძვირფასი „მოგონებები", რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ქართული თეატრის ისტორიისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იმედაშვილი მუშაობდა რუსთაველის თეატრში, რამდენჯერმე იყო დასის ხელმძღვანელად ქუთაისსა და ბათუმში, მუშაობდა მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ ქუთაისის თეატრში, შემდეგ ჭიათურაში, ხოლო უკანასკნელად ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში, სადაც, „ოტელოსა" და „მეფე ლირის" გარდა, დიდი წარმატებით ასრულებდა როლებს „ვანიუშინის ოჯახში", „გიორგი სააკაძეში" და სხვა პიესებში. დაუვიწყარია მისი ვანიუშინი და შადიმანი, რომლებიც იმედაშვილმა უდიდესი ოსტატობით განასახიერა.

თავისი ბრწყინვალე აქტიორული ტალანტით შეასრულა ალექსანდრე იმედაშვილმა მთავარი როლები კინოფილმებში „გიული", „ამოკი", „კრაზანა", „ელისო" და სხვ.

ალექსანდრე იმედაშვილი ამავე დროს ეწეოდა საზოგადოებრივ მუშაობას. იგი ერთ-ერთი ინიციატორია მსახიობთა კავშირის დაარსებისა.

პარტიამ და ხელისუფლებამ მაღალი შეფასება მისცეს ალექსანდრე იმედაშვილის დიდ ღვაწლს ქართულ თეატრში. 1932 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება, ხოლო 1941 წელს დაჯილდოებულ იქნა უმაღლესი ჯილდოთი—სსრ კავშირის ორდენით. ალექსანდრე იმედაშვილი იყო მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

თბილისის მაყურებლებმა ალექსანდრე იმედაშვილი უკანასკნელად ნახეს ქუთაისის თეატრის გასტროლებზე თბილისში 1941 წელს, როცა ოტელოს ეს სახელგანთქმული შემსრულებელი უდიდესი წარმატებით გამოვიდა „მეფე ლირში".

მძიმე ავადმყოფობამ იმედაშვილს საშუალება არ მისცა სამამულო ომის დღეებში კვლავ მგზნებარედ ემსახურნა მშობლიური თეატრისათვის.

ქართულმა საბჭოთა სცენამ მძიმე დანაკლისი განიცადა.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თავის უდიდეს ხელოვანს. ქართული თეატრის ისტორიაში ალექსანდრე იმედაშვილის სახელი განუყრელად დარჩება კორიფეების კოტე მესხის, ლადო მესხიშვილის, ვასო აბაშიძის სახელებთან ერთად.

ა. იმედაშვილის დაკრძალვის დღე

დამკრძალავი კომისიის დადგენილებით, ალ. იმედაშვილის დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 27 სექტემბერს, დღის 2 ს. და 30 წ. ვერის ახალ სასაფლაოზე, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. პანაშვიდი შესდგება 26 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე და 27 სექტემბერს, დღის 2 საათზე განსვენებულის ბინაზე. გამოსვენება მოხდება განსვენებულის ბინიდან — დავითაშვილის ქ., ქვედა შესახვევი № 6.

ნიკო ქუმსიაშვილის დაკრძალვა

(„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

რესპუბლიკის სახალხო არტისტის, თბილისის საოპერო თეატრის ორდენოსანი მსახიობის ნიკო ქუმსიაშვილის დაკრძალვაზე 24 სექტემბერს განსვენებულის სამშობლო სოფელ ორხევში (თიანეთის რაიონი) თავი მოიყარეს ორხევის, ტოლაანთსოფლის, გუდანელების, საყდრიონის, ნაქალაქრის, ღულელებისა და სხვა მახლობელი სოფლების მცხოვრებლებმა. თიანეთიდან ჩამოვიდნენ საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ღუდუშაური და საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ი. წიკლაური. დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან ჩამოვიდნენ მთავრობის მიერ გამოყოფილი კომისიის წევრები ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ამხ. ბ. გოგუას ხელმძღვანელობით, თბილისის საოპერო თეატრის, კონსერვატორიის, კომპოზიტორთა კავშირის და თბილისის ხელოვნების მუშაკთა წარმომადგენლების დელეგაცია.

დღის 3½ საათზე დაიწყო სამოქალაქო პანაშვიდი. სიმფონიური ორკესტრის სამგლოვიარო ჰანგები ეფინება ერწოს შესანიშნავ ბუნებას. ნ. ქუმსიაშვილის ცხედარი ეზოში ასვენია. ორკესტრმა დაასრულა „დაისის" შესავალი. ამხ. ბ. გოგუამ გახსნა სამგლოვიარო სხდომა და მოკლე სიტყვაში დაახასიათა ნ. ქუმსიაშვილის მოღვაწეობა

თბილისის კონსერვატორიის და კომპოზიტორთა კავშირის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პ. ხუჭუამ, რომელმაც ილაპარაკა განსვენებულის ღვაწლზე საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში. გაისმა სიმფონიური ორკესტრის ხმა და პ. ამირანაშვილმა შეასრულა სევდიანი „სულო ბოროტო". ხელოვნების მუშაკთა სახელით სიტყვით გამოვიდა სსრკ სახალხო არტისტი ა. ხორავა.

კვლავ გაისმის ორკესტრის ხმა და ე. სოხაძე ასრულებს მაროს ტირილს. სოფ. გუდანელების მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ი. ჭინჭარაულის სიტყვის შემდეგ დ. ანდღულაძემ შეასრულა არია „დაისიდან".

სამოქალაქო პანაშვიდის დამთავრების შემდეგ სამგლოვიარო პროცესია გაემართა ორხევის სასაფლაოსაკენ. 16 გვირგვინი, სახელოვნო დაწესებულებებისა და მეგობარნათესავებისაგან მიძღვნილი, წინ მიუძღვება კუბოს, რომელიც განსვენებულის ამხანაგებმა გამოასვენეს ეზოდან.

საფლავთან გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა თიანეთის სარაიონო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ხ. გედეშურმა, წაიკითხეს მათი სამგლოვიარო დეპეშები, ვინც დაკრძალვას ვერ დაესწრო. საღამოს 6 საათზე ნ. ქუმსიაშვილის ნეშტი მიაბარეს მშობლიურ მიწას.

ინდოეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი (საქინფორმი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ინდოეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე სახელმწიფო საბჭოს ლიდერმა უსმანმა განაცხადა, რომ 19 აგვისტოდან, ე. ი. მღელვარების დაწყების მომენტიდან, პოლიციამ და ჯარმა 721 კაცი მოჰკლა და 1.200 კაცი დასჭრა. ამ ხნის განმავლობაში მატარებლების მარცხის 40 შემთხვევა იყო.

ლონდონი, 25 სექტემბერი (საქინფორმი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, ინდოეთის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრები: ჰუსაინი, დამოუკიდებელთა ჯგუფის წარმომადგენელი მეჰტა, მერონი და მუსლიმანთა ლიგის წარმომადგენელი ფადშაჰი. ამ უკანასკნელმა მთავრობას ბრალად დასდო, რომ იგი უპირატესობას ანიჭებდა კონგრესს და სრულიად უგულებელჰყოფდა მუსლიმანთა ლიგას.

სამედიცინო მომსახურების გაუარესება გერმანიაში

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი (საქინფორმი). ექიმების, მედიკამენტების, სამედიცინო მოწყობილობისა და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობასთან დაკავშირებით, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან ავადმყოფ და დაჭრილ ჯარისკაცთა დაბრუნებასთან დაკავშირებით, გერმანიაში მკვეთრად გაუარესდა სანიტარული მომსახურება. ჰიტლერელები შეშფოთებული არიან დიზენტერიით, ტუბერკულოზითა და ტიფით დაავადების შემთხვევათა ზრდით. არსებული ცნობების თანახმად, დიზენტერიას ეპიდემიური ხასიათი აქვს. მოსახლეობა არასაკმაოდ იკვებება. ხშირდება ქუნთრუშით, დიფტერიითა და დამბლით დაავადების შემთხვევები. ყველა ჰოსპიტალი სავსეა დაჭრილებით. სამოქალაქო მოსახლეობა მოკლებულია მკურნალობას.

საკონცენტრაციო ბანაკები „ურჩობისათვის" ფინეთში

სტოკჰოლმი, 24 სექტემბერი (საქინფორმი). ფინეთის მოსახლეობა სულ უფრო და უფრო არიდებს თავს ფინეთში შემოღებული შრომის ბეგარის მოხდას, რასთან დაკავშირებითაც ფინეთის ხელისუფალნი უსასტიკეს რეპრესიულ ღონისძიებებს მიმართავენ. გაზეთი „სუომენ სოსიალიდემოკრაატი" იუწყება, რომ ფინეთის სამხედრო სარდლობის გადაწყვეტილებით, სამოქალაქო ხელისუფლებმა უნდა შექმნან „სპეციალური შრომის ბანაკები" (გაზეთი მორცხვად ასე ეძახის საკონცენტრაციო ბანაკებს) იმ ქალებისა და ახალგაზრდებისათვის, რომლებიც საბოტაჟს უწევენ საყოველთაო შრომის ბეგარის კანონს. ტრანსპორტისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტრომ უკვე შექმნა ასეთი ბანაკები.

ჰიტლერელი მონათმფლობელნი მუშახელის ახალ იძულებითს მობილიზაციას ამზადებენ

ჟენევა, 24 სექტემბერი (საქინფორმი). მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერელებმა მუშათა იძულებითი მობილიზაცია ჩაატარეს ყველა ოკუპირებულ და ვასალურ ქვეყანაში, გერმანიის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა წინანდებურადვე განიცდის მუშახელის მწვავე ნაკლებობას. ეს ნაკლებობა იმით ძლიერდება, რომ ჩაიფუშა ლავალის ცდა — ჰიტლერის ბრძანებით 350 ათასი ფრანგი მუშის მობილიზაცია მოეხდინა გერმანიაში გასაგზავნად. ამასთან დაკავშირებით ჰიტლერელი მონათმფლობელნი ამზადებენ ახალ ზეგავლენას ოკუპირებულ და ვასალურ ქვეყნებზე. ჰიტლერული გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" გაფრთხილებას იძლევა, რომ „უახლოეს ხანში ევროპის ყველა ქვეყანაში მუშახელის რეზერვების მობილიზაცია უნდა დაიწყოსო". გაზეთი არ მალავს, რომ ამასთან უგულებელყოფილი იქნება ოკუპირებული და ვასალური ქვეყნების მთელი სასიცოცხლო ინტერესები. გაზეთი მოითხოვს, რომ იქ გადიდებულ იქნას სამუშაო დღე და გაძლიერდეს ექსპლოატატორული სისტემა, რათა განთავისუფლებულ იქნას რაც შეიძლება მეტი მუშახელი. „არსად ევროპაში, — ნათქვამია სტატიაში, — არ უნდა იყოს მყუდრო შრომითი ცხოვრების ოაზისი".

ჰიტლერელ ლეის „შინაგანი ფრონტისა" ეშინია

სტოკჰოლმი, 24 სექტემბერი (საქინფორმი). რომ ჰიტლერელები დარწმუნებული არ არიან „შინაგანი ფრონტის" სიმტკიცეში, ამას მოწმობს ჰიტლერელთა ერთ-ერთი მეთაურ ლეის სტატია, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „ანგრიფში". ლეი გულმოდგინედ ხაზგასმით აღნიშნავს: საჭიროა „ზრუნვა იმისათვის, რომ ხალხში უთანხმოებისა და მითქმა-მოთქმის ყოველივე შესაძლებლობა აღმოფხვრილ და მოსპობილ იქნას". იგი უტიფრად აღიარებს, რომ გერმანიაში მუშებს და მუშა ქალებს სასტიკი ენით ელაპარაკებიან. „არც ერთი გერმანელი არ უნდა იყოს ისეთი, — ისტერიულად გაჰკივის ლეი, — რომელიც თავს არიდებდეს ნაცისტურ მუშაობას. ყოველივე განხეთქილება დალუპვას, სიკვდილს უდრის". ლეიმ წამოაყრანტალა იმის მიზეზი, თუ რატომ აწუხებს მას გერმანიის ზურგის მდგომარეობა. მას აშფოთებს გამარჯვების რწმენის უქონლობა, რაც სულ უფრო და უფრო იზრდება გერმანელებში. ამის გამო იგი მოუწოდებს ძალების უკიდურესი დაძაბვისაკენ. „უდიდესი კანონი, რაც ჩვენ პირველმა მსოფლიო ომმა გვასწავლა, — სწერს იგი, — ამბობს, რომ საკმარისი არ არის პირველი ბრძოლის მოგება. საჭიროა კიდევ უკანასკნელი ბრძოლის მოგება". ლეი მოუწოდებს ახალი გაჭირვების ატანისა და მსხვერპლისაკენ, „რათა გერმანია იძულებული არ გახდეს კაპიტულაცია მოახდინოს ძალებისა და სახსრების ნაკლებობის გამო".

შეთანხმება შეერთებულ შტატებსა და მეომარ საფრანგეთს შორის

ლონდონი, 25 სექტემბერი (საქინფორმი). საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის პრესის ბიურო იუწყება, რომ შეერთებული შტატებისა და მეომარი საფრანგეთის საზღვაო ხელისუფლებმა დასდეს შეთანხმება მეომარი საფრანგეთის საჰაერო-საზღვაო ძალების ამერიკის საზღვაო ფლოტთან თანამშრომლობის შესახებ. ამ შეთანხმებით მეომარი საფრანგეთის საზღვაო ავიაციის რაზმმა ამერიკის საზღვაო ავიაცია უნდა შეავსოს და შემდეგ შეერთებული შტატების მიერ მიწოდებული თვითმფრინავებთან ერთად უნდა შექმნას საფრანგეთის შენაერთი, რომელიც გაერთიანებული ქვეყნების საზღვაო ავიაციასთან ერთად იმოქმედებს.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ უარჰყო რუზველტის მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების სტაბილიზაციის შესახებ

ვაშინგტონი, 25 სექტემბერი (საქინფორმი). წარმომადგენელთა პალატამ უარჰყო რუზველტის მოთხოვნა მიეღო კანონი, რომელიც უფლებას აძლევს პრეზიდენტს მოახდინოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების სტაბილიზაცია. წარმომადგენელთა პალატამ 284 ხმით 96-ის წინააღმდეგ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც უფლებას აძლევს პრეზიდენტს მოახდინოს ფასებისა და ხელფასის სტაბილიზაცია დაახლოებით იმ დონეზე, რომელიც 15 აგვისტოსათვის არსებობდა. მაგრამ ამ კანონპროექტში შეტანილია კონგრესში არსებული ფერმერთა გავლენიანი ბლოკის შესწორება, რომელიც ნებას იძლევა გადიდებულ იქნას შემდეგში სოფლის მეურნეობის ბევრი პროდუქტის ფასები.

ეს საკითხი სენატს ჯერ არ განუხილავს.

არალეგალური ფურცლები საფრანგეთში

ლონდონი, 24 სექტემბერი (საქინფორმი). როგორც აფის სააგენტო გადმოგვცემს, ერთ-ერთ ფურცელში, რომელსაც საფრანგეთში სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზაციები ავრცელებენ, ნათქვამია: „მუშებო საბოტაჟი გაუწიეთ გერმანიის სამხედრო მრეწველობას. ჰიტლერმა, რომელმაც გერმანელი ხალხი აიძულა მომქანცველი ტემპებით იმუშაოს მისი ომისათვის, ვერ შესძლო საკმარისი იარაღი გამოეჭედა გასამარჯვებლად. მას ახლა დამონებული ევროპის მუშაობის იმედი აქვს, რათა დაამშვიდოს თავისი ხალხი და გადასდოს დამარცხების ვადა. ყოველი გაფუჭებული დეტალი, მუშაობის დროს გაცდენილი ყოველი წუთი ადამიანის სიცოცხლეს იხსნის. მიჰბაძეთ საფრანგეთის ოკუპირებული ზონის პატრიოტების მაგალითს, ბელგიის, ჰოლანდიის მაგალითს, თავისუფალი გულის მქონე ყველა ადამიანის მაგალითს. დააყოვნეთ თქვენი ქარხნის პროდუქციის გამოშვება, პროდუქციისა, რომელსაც ვიშის მთავრობა გერმანიაში ჰგზავნის. მანქანის, ინსტრუმენტის უწესივრობა, მოშლილი ქანჩი, ნახვრეტი კონსერვის კოლოფში დააჩქარებს გერმანიის დამარცხებას".

თეატრებში

27 სექტემბერს: **სახოპერა** — დღისით— „სევილიელი დალაქი", საღამოს — „ფაუსტი". **რუსთაველის სახელობის** — დღისით და საღამოს — „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი". **მარჯანიშვილის სახელობის**— დღისით — „ინჟინერი სერგეევი", საღამოს— „გრიგალი". **გრიბოედოვის სახელობის** — დღისით და საღამოს—„ბარბაროსები". **სომხური თეატრი** — დღისით და საღამოს — „გეორგ მარზპეტუნი". **ახუნდოვის სახელობის** —დღისით და საღამოს—„ჰაჯი ყარა". **მუსიკალური კომედიის** — დღისით და საღამოს— „არშინ-მალ-ალან". **სანკულტურის**—„აჯილა". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — დღისით, „წითელქუდა", საღამოს— „ნაცარქექია". **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი** — დღისით და საღამოს—„ვასილისა მშვენიერი და ივანუშკა". **მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი** — დღისით— „ანაიდ", საღამოს—„ორი ბატონის მსახური".

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3076682, გაცემული ირაკლი ვლადიმერის-ძე **ხალიჯაიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი და 26 კომ. სახ. — „ხიდი", **დამკვრელი** — „საბრძოლო კინოკრებული № 10". **კომკავშირელი და სპარტაკი** — „გიორგი სააკაძე", **ლუქსემბურგის სახ.** — „მეორე ქალი და მწყემსი", **კომინტერნი** — „ჭექა-ქუხილი", **მეცნიერება და ცოდნა** — „უკანასკნელი ღამე".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ობიექტის კოლექტივი იუწყება, რომ 27/IX, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე შესდგება ობიექტის უფროსის მოადგილის ალ. ი. სანაძის შვილის

ირაკლი (ირა) ალექსანდრეს-ძე სანაძის

სამოქ. პანაშვიდი. 1214

რკინიგზის მშენებელთა საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ 27/IX, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია

მიშა (კუკური) შალვას-ძე ჩხაიძის

სამოქ. პანაშვიდი. 1208

საქვაჭრობის ქუთაისის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან შალვა დოხუნდარიძის შვილის

თამაზის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 27/IX, 6 ს. წერეთლის ქუჩა, მეორე შესახვევი № 3. 1211

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო იუწყება საქ. სსრ სახალხო არტისტის

ალექსანდრე სოლომონის-ძე იმედაშვილის

გარდაცვალებას. 1213

თბილისის 27-ე საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებელ ბენო ინწკირველის დედის

ვერა ინწკირველის

გარდაცვალებას, გამოსვენება 26/IX, 5 ს. ურიცკის ქ. № 33, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1207

სახარბიტრაჟის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 27/IX სოფ. სუფსაში შესდგება

გრიშა ლაზარეს-ძე ჯიჯეიშვილის

სამოქ. პანაშვიდი. 1209

საქ. კოოპინკავშირის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება პრეზიდიუმის წევრის

პავლე ლუკას-ძე ეძგვერაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26/IX, 6½ ს. კონსტიტუციის ქ. № 5, დაკრძალვა 27/IX, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1203

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრის კოლექტივი იუწყება ამავე თეატრის მსახიობის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ორდენოსან

ალექსანდრე სოლომონის-ძე იმედაშვილის

გარდაცვალებას.

საქშამპანკომბინატის თანამშრომლები იუწყებიან ორჯონიკიძის რაიონის ლენინის ქარხანათა სამმართველოს ინჟინრის მიხეილ ჩიკვაიძის დედის

სოფიო ნიკოლოზის-ასულ ჩიკვაიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/IX, 2 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე. 1217

„ხილბოსტანვაჭრობის" სატრანსპორტო კანტორის თანამშრომლები იუწყებიან ივანე ქეშელაშვილის შვილის

ნინო ივანეს-ასულ ქეშელაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26/IX, 5½ ს. გამოსვენება 27/IX, 2 ს. კრონშტადტის ქ. № 46, დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 1206

მეუღლე პაშა, გაზრდილები ინა, ირა, უნდო, ბუდუ და თეიმურაზ შოთაძეები მწუხარებით იუწყებიან

ალექსანდრე სოლომონის-ძე იმედაშვილის

გარდაცვალებას.

ლ. პ. ბერიას სახელობის ა.-კ. რკინიგზის სამმართველოს სატვირთო სამსახურის კოლექტივი იუწყება გრიშა პირტახიას მეუღლის

მარო კონსტანტინეს-ასულ პირტახიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26/IX, 6 ს. გამოსვენება 27/IX, 3 ს. ბაქოს ქ. № 6. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1216

ცეკავშირის უფლებრივი ჯგუფის კოლექტივი იუწყება ამავე ჯგუფის ხელმძღვანელის ბ. ლომინაძის დის

პაშა იოსების-ასულ საყვარელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/IX ქ. ქუთაისში, გამოსვენება წერეთლის ქუჩის პირველი ჩიხი, სახლი № 1. 1210

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.